ევროკომისია

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობა

როგორ გავაადვილოთ ინვესტირება

ფაქტობრივი მონაცემები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში ქართული კომპანიები შეძლებენ ევროკავშირში შვილობილი კომპანიების, ფილიალებისა ან წარმომადგენლობების გახსნას; იგივეს შეძლებენ ევროკავშირის კომპანიები საქართველოში. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ბიზნესებს გავრცობისა და ქართველი ან ევროპელი პარტნიორის შეძენის შესაძლებლობას აძლევს. ის უზრუნველყოფს „ბაზარზე წვდომას“ დაფუძნებისთვის. რას ნიშნავს ეს რეალობაში?

როგორ ხდება საქართველოში და ევროკავშირში ინვესტირება დღეს?

საქართველო აქტიურად ცდილობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მოაქვს ახალი ბიზნეს-შესაძლებლობები, ახალი ტექნოლოგიები და ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას. დღეს საქართველოში მოქმედი ადმინისტრაციული პროცედურები ეხმარება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლას. ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები ამ ინვესტიციების ძირითადი წყაროა საქართველოში.

სტაბილური ბაზრისა და მოსახლეობის მაღალი მსყიდველობითი უნარის წყალობით ევროკავშირი უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველია. ევროკავშირის ბაზარი, ზოგადად ღიაა, თუმცა, მისი თითოეული ქვეყანა ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში უცხოური ინვესტიციებისთვის შეზღუდვებს აწესებს. თითოეული ქვეყანა უცხოელი ინვესტორისთვის საკუთარი წესებს ადგენს. ეს წესები მოიცავს კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებს, გარემოსთან დაკავშირებულ შეზღუდვებს და ზღუდავს უცხო ქვეყნის წამყვანი თანამშრომლების ქვეყანაში დარჩენის ვადას. ვიზასთან დაკავშირებული მოთხოვნები ცალკე წესებით რეგულირდება.

რა შეიცვლება მომავალში?

- შესაძლებელი გახდება ქართული/ევროპული კომპანიის შვილობილი კომპანიის, ფილიალისა თუ წარმომადგენლობის გახსნა საქმიანობის ნებისმიერ(წარმოებისა თუ მომსახურების) სფეროში. ევროკავშირი ასეთი ფართო წვდომის უფლებას მხოლოდ იმ პარტნიორებს აძლევს, რომელთანაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება აქვს. შეზღუდულია წვდომა რამდენიმე სექტორში, ესენია: ბირთვულ მასალებთან დაკავშირებული საქმიანობა, იარაღისა და ომისთვის განკუთვნილი მასალების წარმოება და ვაჭრობა, აუდიოვიზუალური მომსახურება, სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებულ ორ პუნქტს შორის განხორციელებული საზღვაო გადაზიდვა (კაბოტაჟი) და ზოგიერთი სახის მომსახურება საჰაერო ტრანსპორტის სფეროში.
- ევროკავშირი და საქართველო უზრუნველყოფენ, რომ ადგილობრივი კომპანიებისთვის დადგენილი წესები თანაბრად გავრცელდეს მათ შვილობილ კომპანიებზე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის პარტნიორ ქვეყნებში. იგივე შეეხება მართლმსაჯულებასა და სასამართლო სისტემაზე წვდომას.
- ქართულ კომპანიებში მომუშავე სპეციალისტები შეძლებენ ევროკავშირში გამგზავრებას სამი წლით ვადით და დახმარების გაწევას შვილობილი კომპანიის, ფილიალისა თუ წარმომადგენლობის დაფუძნებაში. მათი ევროკავშირში ყოფნასთან დაკავშირებული პროცედურები გამარტივდება. იგივე შეეხება ევროკავშირის სპეციალისტებს, რომლებიც საქართველოში ჩამოვლენ.
- ევროკავშირში მოქმედი კვალიფიკაციის დამადასტურებელი, გარემოსდაცვითი, სავიზო და ა.შ. წესები იგივე დარჩება. სავიზო და მუშაობის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცით არ რეგულირდება

იცოდით თუ არა, რომ...

...საქართველოს ეროვნული საინვეტიციო სააგენტო ხელს უწყობს კონტაქტების დამყარებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის.

...ევროკავშირში ბიზნესის ხელშეწყობაზე პასუხისმგებელია თითოეული წევრი სახელმწიფო, კერძოდ მისი სავაჭრო პალატა. თუკი ევროპელ პარტნიორს ეძებთ, დაუკავშირდით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს საელჩოს საქართველოში.

...2013 წელს ევროკავშირის ქვეყნებმა საქართველოში 400 მილიონი ევროს ინვესტიცია განახორციელეს, ანუ 2013 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 43% (914.4 მლნ აშშ დოლარი).

წყარო: გეოსტატი, 2014

ევროკომისია

რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის?

- უფრო მეტი ევროპული და საერთაშორისო ინვესტიციის შემოსვლას, რადგან ბიზნესის ერთად კეთება გაადვილდება.
- ქართული კომპანიებისთვის ევროპულ ბაზარზე ფეხის მოკიდებას და საქონლის/მომსახურების შეთავაზებას შუამავლის გარეშე.
- საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლება ხელს შეუწყობს მეტი ინვესტიციების მოზიდვას, რადგან უფრო იაფი და იოლი იქნება საქონლის ექსპორტ-იმპორტი. გადადვილდება ასევე მომსახურების გაწევა სხვადასხვა ტიპის ბიზნესებისთვის და ბიზნეს-გეგმაში მათი ინტეგრირება.
- ინვესტირებას უნარ-ჩვევებში: კომპანიას შეეძლება ახალგაზრდა თანამშრომლების (,,სტაჟიორების“) გაგზავნა თავის შვილობილ კომპანიაში, ფილიალსა თუ ოფისში ევროკავშირში/საქართველოში ერთ წლამდე ვადით, მათი შემდგომი ტრენინგისა თუ კარიერის განვითარებისთვის.
- უშუალო სარგებელს მოქალაქეებისთვის: ინვესტირება ნიშნავს ახალ სამუშაო ადგილებს.

იცოდით თუ არა, რომ...

... ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს უწყობს ბიზნესსა და სამუშაო ადგილების შექმნას ინვესტიციების საშუალებით. ეს მექანიზმი მოსახლეობის ვიზებსა და მუშაობის ნებართვებს არ არეგულირებს.

...2013 წელს ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიცია ევროკავშირის ორმა ქვეყანამ – ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა განახორციელეს; 2013 წელს ორივე ქვეყნიდან შემოსულმა ინვესტიციამ 325 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 0.33%.

წყარო: გეოსტატი, 2014

როგორ იქნება დაცული ინვესტიციები?

ევროკავშირის თითოეულ ქვეყანას ინვესტიციების დაცვის მიმართ საკუთარი მიდგომა აქვს. ზოგიერთ მათგანს საქართველოსთან გაფორმებული აქვს ინვესტიციების შესახებ ორმხრივი შეთანხმება. ეს შეთანხმებები ადგენს, თუ როგორ უნდა მოხდეს ინვესტიციებთან დაკავშირებული დავების მოგვარება. ისინი არ შეეხება ,,ბაზარზე შესვლის“ საკითხებს. ინვესტიციების დაცვის შესახებ ეს შეთანხმებები გარკვეული ხნის განმავლობაში ძალაში დარჩება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე მათ არ არეგულირებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის ამავე თემაზე...

- იმის გასარკვევად, თუ ზუსტად რაზე შეთანხმდნენ საქართველო და ევროკავშირი დაფუძნებასთან დაკავშირებით, იხილეთ „ასოცირების შეთანხმება/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე“, მუხლები 78–82 და 88-89 (კარიIV თავი 6), ასევე, პირობების გასაცნობად იხილეთ დანართი XIV-ა, XIV-ბ და XIV-გ (ევროკავშირისთვის) და დანართი XIV-ე, XIV-ვ და XIV-ზ (საქართველოსთვის).
- ასოცირების შეთანხმება (ინგლისურად) იხილეთ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებგვერზე http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm, ხოლო ქართულად – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერზე http://www.mfa.gov.ge
- ევროკავშირში ექსპორტის მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ საექსპორტო მოთხოვნებს სპეციალურ ვებგვერდზე Export Helpdesk.
- დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით: Delegation-Georgia@eeas.europa.eu